

საქართველოს ჩემპიონატი წრიულ რბოლაში - 2018 წელი
(ჩემპიონატის რეგლამენტი)

დამტკიცებულია სსსფ-ს მიერ
2018 წელი

1. შესავალი
2. ოფიციალური შეჯიბრებების ჩატერების ამოცანები და მიზნები
3. შეჯიბრებების ჩატარების უფლებები
4. შეჯიბრებების კალენდარი
5. ტრასა
6. უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფა
7. ოფიციალური პირები
8. მოთხოვნები მონაწილეებთან, მრბოლელებთან, გუნდებთან
9. დაშვებული ავტომობილები
10. კლასიფიკაცია, შედეგების განსაზღვრა
11. დაჯილდოება
12. პროტესტები და აპელაციები
13. მასმედიის აკრედიტაცია

მუხლი 1. შესავალი

1.1. აღნიშნული რეგლამენტი (შემდგომში სსსფ-ს რეგლამენტი) შედგენილია 2018 წლის საავტომობილო სპორტის შეჯიბრებების დებულებების თანახმად და განსაზღვრავს საქართველოს 2018 წლის ოფიციალური შეჯიბრებების ორგანიზებისა და წარმართვის წესებს საავტომობილო წრიული რბოლების დისციპლინაში.

1.2. ჩემპიონატის ორგანიზებისა და წარმართვის ნორმატიულ დოკუმენტაციად ითვლება:

- სსსფ-ს სპორტული კოდექსი და მისი დანართები;
- ჩემპიონატის წარმართვის საერთო დებულებები (სსსფ-ს საერთო დებულებები);
- წრიული რბოლის ორგანიზებისა და ჩატარების წესები;
- სპორტულ შეჯიბრში მონაწილე ავტომობილების ტექნიკური მოთხოვნები და კლასიფიკაცია;
- მოქმედი რეგლამენტი (სსსფ-ს რეგლამენტი) და მისი დანართი;
- ღონისძიების რეგლამენტი.

1.3. საქართველოს ოფიციალური წრიული რბოლა ტარდება სსსფ-ს საბჭოს გადაწყვეტილებების თანახმად, მის მიერ 2018 წლის ავტოსპორტის დადგენილი სპორტულ ღონისძიებათა ჩატარების კალენდარული გეგმის თანახმად.

1.4. მოცემული სსსფ-ს რეგლამენტი, ძალაშია დამტკიცების მომენტიდან და ანაცვლებს ამ დრომდე მოქმედ ყველა რეგლამენტს.

მუხლი 2. ოფიციალური შეჯიბრებების ამოცანები და მიზნები

2.1 საქართველოს ჩემპიონატი საავტომობილო წრიული რბოლის ოფიციალური შეჯიბრებები ტარდება საუკეთესო სპორტსმენისა და საუკეთესო გუნდის გამოსავლენად, შემდგომში საქართველოს ნაკრებში მოქმედი სპორტსმენების გამოსავლენად და აღნიშნულის, ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეების ფორმირებისათვის, სპორტული და სარბოლო უნარების ასამაღლებლად, მაყურებელში საავტომობილო დისციპლინებისა და ტექნიკური სახეობების პოპულარიზაციისა და ჯანსაღი ცხოვრების წესისა, ავტომობილის უსაფრთხოდ მართვის პროპაგანდისათვის.

მუხლი 3. შეჯიბრებების ჩატარების უფლებები

3.1. 2018 წლის საქართველოს ჩემპიონატის ჩატარების უფლება წრიულ ავტორბოლებში ეკისრება შ.პ.ს. „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომს“.

3.2. სსსფ-ს სტრუქტურაში საქართველოს ჩემპიონატის შეჯიბრებების ჩატარებისას, სპორტული პრინციპებისა და შეჯიბრებების ორგანიზების პასუხისმგებლობა ეკისრება სსსფ-ს სატრეკო რბოლების კომისიას, რომელიც მოქმედებს სსსფ-ს შესაბამის რეგიონალურ განყოფილებებსა და ფედერაციებთან ერთად. სერიის ორგანიზატორებთან (პრომოუტერებთან) და უშუალოდ ღონისძიებების ორგანიზატორებთან ერთად.

3.3. ერთიანი ტექნიკური მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, სპორტული ღონისძიებების კალენდრის შესათანხმებლად (სასწავლო-სავარჯიშო, სასწავლო-მეთოდური, ტექნიკური თუ გამაჯანსაღებელი შეკრებებისა და შეჯიბრებების), სსსფ-ს წრიული რბოლების კოლეგია სპორტსმენებისა და გუნდების სახელით, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა ჩათვლით ჯგუფებში, ასევე შეჯიბრის ჩატარების ორგანიზების საფინანსო-სამეურნეო საკითხების გადასაწყვეტად, იტოვებს უფლებას დადოს ხელშეკრულება მესამე პირებთან.

მუხლი 4. შეჯიბრებების კალენდარი და სტრუქტურა

4.1. შეჯიბრებების სტრუქტურა

შ.პ.ს. „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“ 2017 წელს მართავს ოფიციალურ შეჯიბრს საქართველოს ჩემპიონატს წრიულ ავტო რბოლაში, სადაც სხვადასხვა ჩათვლით ჯგუფებში შემდეგი სტატუსით მონაწილეობენ:

№	სტატუსი	ავტომობილების ჩათვლითი ჯგუფები (კლასები)	ივენტების რაოდენობა	ჩათვლა
1	ჩემპიონატი	Honda Civic	6	პირადი გუნდური
2	ჩემპიონატი	ლეგენდა	6	პირადი-გუნდური
3	ჩემპიონატი	BMW Compact	6	პირადი-გუნდური
4	ჩემპიონატი	ფორმულა-ალფა	6	პირადი-გუნდური
5	ჩემპიონატი	BMW კომპაქტისა და Honda Civic-ის გაერთიანებული კლასი:	6	პირადი-გუნდური

4.2. კალენდარი

ივენტი	თარიღი	ჩატარების	ტრასა
საქართველოს 2017წ. ჩემპიონატი წრიულ რბოლებში			
I ეტაპი	31მარტი -01 აპრილი	რუსთავი	Rustavi Motopark
II ეტაპი	28-29 აპრილი	რუსთავი	Rustavi Motopark
III ეტაპი	09-10 ივნისი	რუსთავი	Rustavi Motopark
IV ეტაპი	08-09 სექტემბერი	რუსთავი	Rustavi Motopark
V ეტაპი	13-14 ოქტომბერი	რუსთავი	Rustavi Motopark
VI ეტაპი	03-04 ნოემბერი	რუსთავი	Rustavi Motopark

4.3. ოფიციალური შეჯიბრებები ტარდება ივენტების ბაზაზე, რომელიც ჩართულია სსსფ-ს სპორტული ღონისძიებათა ჩატარების კალენდარული გეგმის შესაბამისი სტატუსით. შეთანხმებული კალენდარი

მიეწოდება სსსფ–ს შეჯიბრის სერიის პრომოუტერს ან ორგანიზატორს რომელიც პასუხისმგებელია სსსფ–ს წინაშე ივენთის ჩატარებაზე.

4.4. კალენდარში შეტანილი ცვლილებები ქვეყნდება საიტზე - **GASF.CO** დანაყოფში „სპორტი>კალენდარი“.

მუხლი 5. ტრასები

5.1. შეჯიბრების ჩატარების ტრასა უნდა ექვემდებარებოდეს სსსფ–ს მოთხოვნებს. მუდმივ ტრასებს უნდა გააჩნდეთ სსსფ–ს მიერ დადგენილი ლიცენზია .

5.2. შეჯიბრის დაწყების წინ რბოლების ხელმძღვანელი ვალდებულია შეამოწმოს ტრასის მზადყოფნა და მისი შესაბამისობა ტრასის პასპორტთან. შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე, დგინდება და ხელი ეწერება ტრასის მიღების აქტს.

მუხლი 6. უსაფრთხოების ზომების დაცვა

6.1. შეჯიბრის ჩატარების დროს უსაფრთხოების დაცვის შესახებ პასუხისმგებლობას ღებულობენ შეჯიბრის ორგანიზატორი და შეჯიბრის ხელმძღვანელი, რომელიც ვალდებულია შეაჩეროს შეჯიბრი თუ არსებობს მყურებლის, ოფიციალური პირების, მრბოლელებისა და მონაწილე პერსონალის მიმართ სიცოცხლის ან ჯანმრთელობის საშიშროება.

მუხლი 7. ოფიციალური პირები

7.1. ჩემპიონატის ივენთებზე სსსფ–ს წრიული რბოლების კომისია ნიშნავს შემდეგ პასუხისმგებელ პირებს:

- სპორტული კომისრების კოლეგიის თავჯდომარეს – სპორტულ კომისარს სსსფ–ს უფლებებით;
- სსსფ–ს ტექნიკურ დელეგატს;
- სსსფ–ს დამკვირვებელს.

7.2. ტექნიკური დელეგატი, რომელიც დანიშნულია სსსფ–ს მიერ, ხელმძღვანელობს ტექნიკური ინსპექციის მუშაობას, აკონტროლებს ტექნიკურ კომისარს, სარემონტო, გასამართი და დახურული პარკის ტექნიკურ კონტროლიორებს.

7.3. ჩემპიონატების ივენთებზე, სსსფ–ს წრიული რბოლების კომისიას შეუძლია დანიშნოს შემდეგი ოფიციალური პირები:

- რბოლების ხელმძღვანელი;
- უსაფრთხოების ავტომობილის მძღოლი;
- ჩემპიონატის მდივანი;

მუხლი 8. მოთხოვნები მონაწილეების, მრბოლელების და გუნდების მიმართ

8.1. ოფიციალურ შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან შემდეგი პირები: სსსფ–ს მიერ გაცემული ეროვნული (M, E და F კატეგორია) და საერთაშორისო (D, B, C და A კატეგორია) ლიცენზიის მფლობელი მრბოლელები, ყველა მრბოლელს უნდა გააჩნდეს Competitor ლიცენზია ან უნდა ჰყავდეს ამ ლიცენზიის მფლობელი პირი და უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- შეჯიბრში მონაწილე მრბოლელების ასაკობრივი მოთხოვნები, რომელიც მოცემულია წესებში.
- ჩემპიონატში მონაწილეობისათვის დაიშვებიან ის გუნდები, რომლებსაც გააჩნიათ სსსფ–ს მიერ გაცემული გუნდის (Competitor) სარეგისტრაციო მოწმობა.
- გუნდის შემადგენლობა ივენთზე - არაუმეტეს 2 მრბოლელისა ერთ ჩათვლით ჯგუფში.
- ჩემპიონატის პირადი და გუნდური განაცხადი უნდა წარედგინოს სსსფ–ს იმ ფორმით, რომელიც მოცემულია რეგლამენტის მიხედვით. მრბოლელის განაცხადი წარედგინება ჩემპიონატის ერთ ჩათვლაზე. მრბოლელის აბსოლუტური ჩათვლის შედეგის შეჯამება მიმდინარეობს ავტომატურად. გუნდური განაცხადის წარდგენა ხდება თითოეულ ჩათვლაში მონაწილეობის მიღებისას. განაცხადის წარუდგენლობის შემთხვევაში მრბოლელი შეჯიბრზე არ დაიშვება.

- მრბოლელების ეკიპირება უნდა შეესაბამებოდეს სსსფ–ს სპორტულ კოდექსში და დანართებში მოცემულ პირობებს „მოთხოვნები მრბოლელებთან“.
- HANS®–ის სიტემის გამოყენება – რეკომენდირებულია. პერსონალის ეკიპირების რეკომენდაციები მოცემულია წესებში.

მუხლი 9. დაშვებული ავტომობილები

9.1. შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან ავტომობილები, რომლებიც შეესაბამებიან 2018 წელს მიღებულ ტექნიკურ მოთხოვნებს და დამატებით მოთხოვნებს წრიულ რბოლებში მონაწილეობის შესახებ.

9.2. ყველა ავტომობილი გამართული უნდა იყოს ქრონომეტრაჟის ავტომატური ათვლის სისტემით ", რომლის ნომერი უნდა დაფიქსირდეს მონაწილის მიერ ადმინისტრაციულ შემოწმებაზე. იმ შემთხვევაში თუ ორგანიზატორმა გამოიყენა ქრონომეტრაჟის სხვა, სისტემა მაშინ ის ვალდებულია უსასყიდლოდ მიაწოდოს მონაწილეებს აღნიშნული სისტემის გამოყენების საშუალება.

9.3. შეჯიბრში მონაწილე ყველა ავტომობილს უნდა გააჩნდეს სსსფ–ს მიერ გაცემული ტექნიკური პასპორტი.

9.4. ტექნიკური ინსპექცია წარმოებს „საავტომობილო წრიული რბოლების ორგანიზებისა და შეჯიბრების ჩატარების წესების“ მიხედვით

9.5. სავალდებულო და არასავალდებულო რეკლამის განთავსების პირობები ცხადდება ორგანიზატორის მიერ ეტაპის რეგლამენტით.

9.6. ყველა ავტომობილზე უნდა გამოიყენებოდეს ის საბურავები, რომლებიც მოცემულია ჩათვლითი ჯგუფების ტექნიკურ მოთხოვნებში.

9.6.1. ფორმულა ალფას, BMW Compact 1900 და Honda Civic 1500 კლასში ჩემპიონატის 6 ეტაპზე დასაშვებია მხოლოდ ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი საბურავის 3 მარკირებული კომპლექტის რეგისტრაცია. რეგისტრირებული საბურავების გამოყენება სავალდებულოა მხოლოდ საკვალიფიკაციო სესიაზე და რბოლაზე.

9.7. ყველა ავტომობილმა უნდა გამოიყენოს ის საწვავი, რომელიც მოცემულია ჩათვლითი ჯგუფების ტექნიკურ მოთხოვნებში.

9.8. ახალი ავტომობილების დაშვების ნებართვა, შეჯიბრების სპორტული შემადგენლის გასათანაბრებლად, განდიკაპის გამოყენების კონტროლი გააჩნია წრიული რბოლების კომიტეტის ტექნიკურ ბიუროს.

მუხლი 10. შეჯიბრების ჩატარების პირობები. კლასიფიკაცია. შედეგების განსაზღვრა

10.1. ოფიციალური შეჯიბრებები ტარდება პირად და გუნდურ ჩათვლებში.

10.2. ოფიციალური შეჯიბრი ჩაითვლება შემდგარად იმ შემთხვევაში თუ ფაქტიურად შედგება საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტული კალენდარული გეგმით გათვალისწინებული (კონკრეტულ სახეობაში და კლასში) შეჯიბრების მინიმუმ 70%.

10.3. ივენთში მონაწილეობის მიმდებარე ითვლება მრბოლელი, რომელმაც მიიღო რბოლის სტარტი. ოფიციალურ შეჯიბრში მონაწილეობის მიმდებარე ითვლება მრბოლელი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ივენთის თუნდაც ერთ-ერთ რბოლაში.

10.4. ივენთის ჩატარების პირობები:

10.4.1. «ლეგენდის» ჩათვლით ჯგუფში ეტაპი შედგება ორი რბოლისგან (რბოლა 1 და რბოლა 2). რბოლა 1 –რბოლის დისტანცია – 10 წრე (41,40კმ), არაუმეტეს 30 წუთისა. რბოლა 2 – რბოლის დისტანცია – 10 წრე (41,40კმ), არაუმეტეს 30 წუთისა. ორივე რბოლის წინ ტარდება 1 საკვალიფიკაციო რბოლა: კვალიფიკაციის შედეგების მიხედვით სასტარტო ბადეზე განლაგება ხდება შემდეგნაირად: საუკეთესო პირველი დრო გამოიყენება რბოლა 1-ისთვის. რბოლა 2-ისთვის სასტარტო ბადის ფორმირება ხდება რბოლა 1-ის შედეგების მიხედვით შემდეგი პრინციპით: პირველ ადგილს იკავებს რბოლა 1-ში მე-6 ადგილზე გასული, მე-2 ადგილს მე-5 ადგილზე გასული და ა.შ. მე-6 ადგილამდე, რომელსაც რბოლა 1-ში პირველ ადგილზე გასული იკავებს. მომდევნო ადგილებიც მსგავსი პრინციპის

გამოყენებით ნაწილდება: რბოლა 1-ში ბოლო ადგილზე გასული მე-7 ადგილს იკავებს და ა.შ. შებრუნებული თანმიმდევრობით; სტარტი ხორციელდება «მომრაობისას».

10.4.2. „ფორმულა –ალფას“ ჩათვლით ჯგუფში ეტაპი შედგება ერთი რბოლისაგან. რბოლის დისტანცია 10 წრე (41,40კმ),არაუმეტეს 30 წუთისა. რბოლის სტარტი ხორციელდება „მომრაობისას“. სასტარტო ბადეზე განლაგება კვალიფიკაციის შედეგების მიხედვით. ჩემპიონატის მეექვსე ეტაპი, Rustavi International Challenge შედგება ორი რბოლისაგან.

10.4.3. «BMW compact 1900»-ის, „Honda Civic 1500“-ის და მათ გაერთიანებულ ჩათვლით ჯგუფში ეტაპი შედგება ორი რბოლისაგან (რბოლა 1 და რბოლა 2). რბოლა 1 –რბოლის დისტანცია – 10 წრე (41,40კმ),არაუმეტეს 30 წუთისა. რბოლა 2 – რბოლის დისტანცია – 10 წრე (41,40კმ),არაუმეტეს 30 წუთისა. ორივე რბოლის წინ ტარდება 1 საკვალიფიკაციო რბოლა: კვალიფიკაციის შედეგების მიხედვით სასტარტო ბადეზე განლაგება ხდება შემდეგნაირად: საუკეთესო პირველი დრო გამოიყენება რბოლა 1-ისთვის ხოლო საუკეთესო მეორე დრო - რბოლა 2-ისთვის; სტარტი ხორციელდება «ადგილიდან».

10.5. ჩემპიონატის პრიზიორის, თითოეული რბოლის, ივენთის გამარჯვებულის გამოსავლენად, მრბოლელებს თითოეულ ჩათვლით ჯგუფში ერიცხებათ ქულები ოფიციალური შეჯიბრების ჩათვლითი შედეგების სასარგებლოდ მათ მიერ რბოლის პროტოკოლით მოცემული დაკავებული ადგილების შესაბამისად:

დაკავებული ადგილი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
ჯამური ქულები	30	25	22	20	18	16	14	12	10	8	6	4	3	2	1

10.6. ვარჯიშების, კვალიფიკაციების, გახურებისა და რბოლის ჩატარება ხორციელდება წრიული რბოლების ჩატარების წესებთან შესაბამისობაში.

10.7. რბოლისას, მრბოლელები ღებულობენ კლასიფიკაციას საფინიშე ზოლის გადაკვეთის შესაბამისად იმის გათვალისწინებით თუ რამდენი წრე აქვთ მათ გავლილი; მხედველობაში მიიღება მხოლოდ სრულად გავლილი წრეები.

10.8. კლასიფიკაციას ღებულობენ მხოლოდ ის მრბოლელები, რომლებმაც გაიარეს დისტანციის გამარჯვებულის, სულ მცირე 70 %. წრეების რაოდენობის დათვლისას, დისტანციის ჩათვლისას არასრული წრე მრგვალდება ნაკლებ მხარეს.

10.9. გუნდური ჩათვლისას ქულების დარიცხვა, წარმოებს მრბოლელების მიერ დაგროვილი ქულების ჯამური შედეგით.

10.10. ჩემპიონატის საბოლოო შედეგების გამოყვანისას, როგორც პირად ასევე გუნდურ ჩათვლაში მხედველობაში არ მიიღება:

10.10.1. ჩათვლით ჯგუფებში: «BMW compact 1900» და „Honda Civic 1500“, - ორი რბოლა ყველაზე დაბალი ქულების რაოდენობით;

10.10.2. ჩათვლით ჯგუფში «ლეგენდა» - ორი რბოლა ყველაზე დაბალი ქულების რაოდენობით;

10.10.3. ჩათვლით ჯგუფში «ფორმულა–ალფა» - ერთი რბოლა ყველაზე დაბალი ქულების რაოდენობით;

10.11. ერთნაირი ქულების დროს, ორი ან რამოდენიმე მრბოლელის/გუნდების შემთხვევაში ადგილები ჩემპიონატში ნაწილდება შემდეგნაირად:

10.11.1. მრავალეტაპიან შეჯიბრში საუკეთესო შედეგის მქონე შეჯიბრების მიხედვით (გამარჯვებების რაოდენობის მიხედვით, ახალი თანასწორი შედეგის შემთხვევაში მერე ადგილის რაოდენობების, შემდეგ მესამე ადგილის რაოდენობების და ა.შ. მიხედვით).

- 10.11.2. შემდგომი თანასწორობის შემთხვევაში უკანასკნელი რბოლის საუკეთესო შედეგის მიხედვით.
- 10.12. მიმდინარე მდგომარეობის და საბოლოო შედეგების დათვლის პროცესს აწარმოებს სსსფ და აქვეყნებს სსსფ–ს ვებ. გვერდზე WWW.GASF.CO წრიული რბოლების ნაწილში.
- 10.13. კლასი შემდგარად ითვლება, თუ სასტარტო ბადეზე კონკრეტულ კლასში წარმოდგენილია მინიმუმ 6 ავტომობილი. ამ შემთხვევაში მონაწილეებს რბოლის დასრულების შემდეგ ჩემპიონატის ჩათვლაში ეწერებათ 10.5. პუნქტში მითითებული ქულები დაკავებული ადგილების შესაბამისად.
- 10.14. თუ სასტარტო ბადეზე გამოცხადდა 5 ავტომობილი კლასში, კლასი ცხადდება არშემდგარად, რბოლა იმართება და მონაწილეებს რბოლის დასრულების შემდეგ ჩემპიონატის ჩათვლაში ეწერებათ 10.5. პუნქტში მითითებული ქულების ნახევარი, დაკავებული ადგილების შესაბამისად.
- 10.15. თუ სასტარტო ბადეზე გამოცხადდა 5 ავტომობილზე ნაკლები, რბოლა არ იმართება ამ კონკრეტულ კლასში და ის ითვლება გაუქმებულად. ხოლო მონაწილეები ჩათვლას მხოლოდ აბსოლუტურ ჩათვლაში მიიღებენ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 11. დაჯილდოება

- 11.1. მრბოლელმა, რომელმაც დააგროვა საქართველოს ჩემპიონატში, მის ჩათვლით ჯგუფში, ყველაზე მეტი რაოდენობის ქულები ენიჭება 2018 წლის საქართველოს ჩემპიონის წოდება წრიულ რბოლებში კონკრეტულ ჩათვლით ჯგუფში, მე-2 და მე-3 ადგილების მფლობელებს – ჩემპიონატის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები.
- 11.2. გუნდს, რომელმაც საქართველოს ჩემპიონატში მის ჩათვლით ჯგუფში დააგროვა ყველაზე მეტი ქულების რაოდენობა ენიჭება „გუნდი (გუნდის ოფიციალური სახელწოდება) – „საქართველოს 2018 წლის ჩემპიონის წოდება წრიულ რბოლებში“ კონკრეტულ ჩათვლით ჯგუფში.

მუხლი 12. პროტესტი, აპელაცია

- 12.1. ნებისმიერი პროტესტის განცხადება ექვემდებარება სსსფ–ს სპორტული კოდექსისი მოთხოვნებს და თან ახლავს თანხობრივი შესატანი, რომლის ოდენობაც განისაზღვრება ივენთის რეგლამენტით.
- 12.2. თუ პროტესტი ითვალისწინებს რამოდენიმე მოცემულ შეჯიბრში მონაწილე ავტომობილის ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისობის შემოწმებას, მაშინ პროტესტი უნდა განცხადდეს თითოეული ავტომობილის საწინააღმდეგოდ ცალ–ცალკე ხოლო ფულადი შესატანის თანხა მრავლდება პროტესტს ქვეშ არსებული ავტომობილების რაოდენობაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც პროტესტის განხილვისათვის საჭიროა ავტომობილის ნაწილის დათვალიერება ან მისი დაშლა, პროტესტის შემომტანმა ტექნიკური გირაოს სახით უნდა შემოიტანოს თანხა, რომელიც პროტესტის განსახილველად შემოტანილი თანხის ტოლფასია. პროტესტი არ შეიძლება შეტანილი იქნას ავტომობილზე სრულად. უნდა იქნეს მითითებული ავტომობილის ცალკეული პარამეტრები, რომელთა შემოწმებაც განიხილება.
- 12.3. იმ შემთხვევაში, როდესაც მაპროტესტებელი პირი არ ეთანხმება სპორტული კომისარების კოლეგიის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, მას აქვს უფლება შეიტანოს აპელაცია სსსფ–ში. სსსფ–ში აპელაციის შეტანას განსაზღვრავს სსსფ–ს კოდექსი.

მუხლი 13. მასობრივი საინფორმაციო საშუალებების აკრედიტაცია.

- 13.1. მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისა და მათი წარმომადგენლების ყველა ოფიციალურ შეჯიბრზე აკრედიტირება ხორციელდება სსსფ–ს მიერ ან აღნიშნულს ავალებს ივენთის ორგანიზატორებს.
- 13.2. შეჯიბრებების ოფიციალური ინფორმაცია წარედგინება მხოლოდ აკრედიტებულ ჟურნალისტებს.